უკიდურესი სიდუხჭირე და თხილი – შემოსავლის ერთადერთი წყარო

რეპორტაჟი ბაილეთიდან

მარი კოკოევი

ახალს ვერაფერს მოგახსენებთ, თუ გეტყვით რომ ქვეყანაში ეკონომიკური სიდუხჭირეა. ერთ-ერთ „მოწინავე" პოზიციას სიღარიბის თვალსაზრისით ჩვენი მუნიციპალიტეტი, ოზურგეთი იკავებს. ამაში დარწმუნება არც ისე რთულია, თუ სოფელ ბაილეთს ესტუმრებით. გასულ კვირას, გადავწყვიტეთ ადგილზე გავცნობოდით პრობლემებს. ახლა თქვენც გიამბობთ. თავისთავად, ცუდი ფაქტია, რომ არც ისე დიდ სოფელში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი რამდენიმე ათეული ოჯახია, რომელიც სოციალურ დახმარებას იღებს. უფრო ცუდი ის არის, რომ აღმოვაჩინეთ ოჯახები, რომლებიც უკიდურესი სიღატაკის მიუხედავად, აღნიშნული დახმარების გარეშეც დარჩნენ. არადა შესაბამის სამსახურს პრობლემის მოსაგვარებლად რამდენჯერმე მიმართეს.

ჯამბულ ფუტკარაძის ოჯახში დღესდღეობით 6 სული ცხოვრობს. აქედან სამი არასრულწლოვანია. ჯამბულის მეგასულ კვირას, გადავწყვიტეთ ადგილზე გავცნობოდით პრობლემებს. ახლა თქვენც გიამბობთ. თავისთავად, ცუდი ფაქტია, რომ არც ისე დიდ სოფელში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი რამდენიმე ათეული ოჯახია, რომელიც სოციალურ დახმარებას იღებს. უფრო ცუდი ის არის, რომ აღმოვაჩინეთ ოჯახები, რომლებიც უკიდურესი სიღატაკის მიუხედავად, აღნიშნული დახმარების გარეშეც დარჩნენ. არადა შესაბამის სამსახურს პრობლემის მოსაგვარებლად რამდენჯერმე მიმართეს.

ჯამბულ ფუტკარაძის ოჯახში დღესდღეობით 6 სული ცხოვრობს. აქედან სამი არასრულწლოვანია. ჯამბულის მეუღლე, 44 წლის ციური ფუტკარაძე ონკოლოგიური დიაგნოზით მკურნალობს.

– „მხოლოდ ერთი წამალი, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა მიიღოს, ღირს 140 ლარი, ასევე იღებს სხვა არანაკლებ ძვირადღირებულ მედიკამენტებსაც." გვითხრა ოჯახის უფროსმა. სწორედ ავადმყოფობის გამო გაუყიდია ოჯახს მსხვილფეხა პირუტყვი და შინაური ფრინველები. ამიტომ მათი „ქონება" და შემოსავალი მხოლოდ თხილია, რომელიც „ბანკების ვალებში მიდის".

ფუტკარაძეების ოჯახი ბაილეთში 15 წლის წინ ჩამოსახლდა. შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდილაურში მათი კარ-მიდამო ზვავსაშიშ ზონაში მოხვდა და გურიაში გადმოსახლება მოუწიათ. დღეს უკვე გურიაში ნაყიდი სახლიც საცხოვრებლად სახიფათოა. „ცოტა ხნის წინ კედელი ჩამოინგრა. ბავშვები ახლოს თამაშობდნენ. შემთხვევით გადარჩნენ. ვეცადეთ გაგვემაგრებინა და „ბარჯგები" გამოვუყენეთ. სულ შიშში ვართ არ დაინგრეს და მოგვიყოლოს" –ამბობს ჯამბულ ფუტკარაძე. ოჯახმა ახალი საცხოვრებელის აშენება გადაწყვიტა. დახმარებისთვის მუნიციპალიტეტს მიმართა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ 300ცალი „ბლოკი" გადასცა.

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №29 (10119), 20 ივლისი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ბეგლარ სიორიძის თქმით, აქედან სამ-ოთხ თვეში ახალ ოზურგეთში ვიცხოვრებთ

სამი შეკითხვა ქალაქის მერს

– ბატონო ბეგი, მორიგი სანდალი აგორდა თქვენს გარშემო, ამჯერად ქალაქის ცენტრში, აგრარული ბაზრის წინ ჭადრების მოჭრის გამო. იყო ამ ხეების მოჭრის აუცილებლობა?

– გთხოვთ, აუცილებლად სიტყვასიტყვით დაწეროთ, რასაც ახლა გეტყვით: ოზურგეთის ბაზრის წინ იმ სამ ძირ ჭადარს, ფულეროიანი და ფესვებდაზიანებულიც რომ არ ყოფილიყო, მაინც მოვჭრიდით. ამით ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო ბაზრის წინ იმ ყოველდღიურ საცობებს, რომელიც ყელში ჰქონდათ ამოსული ოზურგეთელებს, გაფართოვდება ქუჩა, გაკეთდება ნორმალური სანიაღვრე არხი და წვიმების დროს აღარ დაიტბორება მთელი ეს ტერიტორია, აქვე მოწესრიგდება და შეიცვლება იმ უსახური შენობების ფასადები, რომლებიც დღეს მეცხრამეტე საუკუნის „ბარაკებივით" გამოიყურება. მოკლედ, ოზურგეთის ბაზარი და მისი მიმდებარე ტერიტორიები გახდება ისეთი, როგორიც ოზურგეთელებს ეკადრებათ.

თავიდან ჩემი ოპონენტები 9 აპრილის ქუჩაზეც ზუსტად ასე მიკიჟინებდნენ და წერდნენ, დღეს კი 9 აპრილის ქუჩას ოზურგეთის შარდენს ეახიან. არა მგონია, ამ ადამიანებს საჯაროდ შერცხვეთ, მაგრამ საკუთარ გულში ნამდვილად იგრძნობენ თუნდაც მცირეოდენ სირცხვილს, ისეთი იერსახე ექნება ბაზრის ტერიტორიას, როცა ეს პროექტი მთლიანად დამთავრდება.

– ბაზარში მომხდარი ინციდენტიც ისე „გაბაზრდა", რომ ის თქვენს იქ მისვლას და მოვაჭრეებისათვის მიყენებულ სიტყვიერ შეურაცხყოფას მოჰყვა.

– ბაზრის შუაგულში, შინაური ფრინველებითა და ცხოველებით სავაჭრო სექციაში, არსებული უკიდურესი ანტისანიტარიული მდგომარეობის გამო, შეწუხებული არიან როგორც ბაზრის მოვაჭრეები, ისე მყიდველები და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. გადავწყვიტეთ, გადაგვეჭრა ეს პრობლემა. რამდენიმე დღეში აქ მოვაჭრე ადამიანებს გადავიყვანთ ახალ შენ-\ობაში, ახალ სავაჭრო ფართში, სადაც თავიდან ბოლომდე დაცული იქნება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ჩვენი იქ მისვლის დროს რამდენიმე ქალბატონმა გამოთქვა სურვილი, რომ შინაური ფრინველებითა და ცხოველებით სავაჭრო სექციის გასწვრივ, ქუჩის მხარეს გაგვეჭრა კედელი და გაგვეკეთებინა ჭიშკარი, რაზეც უარი ვუთხარი. მერწმუნეთ, სხვა რომ არაფერი, არაესთეტიკურია,

გვ-3

ახალი ტრადიცია

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურის კომისიების ერთობლივი გასვლითი სხდომა სოფელ ცხემლისხიდში

ალიონი. „...სოფელ ბაღდადში წლებია მოუგვარებელია სარწყავი და სასმელი წყლის სისტემები, რომლის მოუწესრიგებლობა არსებით დაბრკოლებებს უქმნის თითოეულ ჩვენგანს. ყველასთვის ცნობილია, რომ არსებობს საკმარისი ბუნებრივი რესურსი (სოფელ ვაკიჯვირს მთებში არსებული წყალსაცავები) იმისთვის, რათა აღნიშნული საკითხი მოგვარებულ იქნას დროულად. სოფელში მცხოვრები ადამიანების საქმიანობა, ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველდღიურად დაკავშირებულია წყლის ინტენსიურ მოხმარებასთან. წყლის დეფიციტის შემყურე ახალგაზრდებს აღარ უჩნდებათ სურვილი თავიანთი წვლილი შეიტანონ მათი წინაპრების მიერ დატოვებული მიწის და ქონების განვითარებაში. უხდებათ სოფლის დატოვება მსგავსი და კომპლექსური მიზეზების გამო, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში გაძლიერებეულ შიდა მიგრაციასთან. ამას ემატება ის, რომ თითქმის რიგი ოჯახები ხშირ შემთხვევებში სასმელ წყალს ყიდულობს ქალაქში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ოჯახის ფინანსურ ტვირთს. არც ერთ ინფრასტრუქტურულ პროექტს ჩვენს სოფელში აზრი არ ექნება თუკი აღნიშნული პრობლემა არ მოგვარდება.

არც ერთ სიკეთეს, რომელიც მომავალში განხორციელდება, არ ექნება აზრი, თუკი არ მოგვარდება გადაადგილების და გზის პრობლემა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ შოთიკოს უბანში წლების მანძილზე მომხდარა გზის გასწორება მოხრეშვით, თუმცა ვფიქრობთ, რომ მსგავსი მეთოდით გზის მოკლევადიანი პერიოდისათვის შეკეთება უშედეგოა, ვინაიდან ძლიერი წვიმა მალევე აზიანებს მოხრეშილ გზას, წყლის ნაკადები, სანიაღვრე არხების არარსებობის გამო, გზის სავალ ნაწილზე წარმოქმნიან ღრმა ორმოებს, რის შეკეთებაც შემდგომ ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი ძალებით უწევს. გზის დეფორმირება ასევე გამოწვეულია მილხიდების დაზიანებით.

ბატონო ტარიელ, გთხოვთ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის

გვ-5

რამადან-ბაირამობის დღესასწაული ალინიშნა

ალიონი. გასულ პარასკევს მუსლიმებს 30-დღიანი მარხვის შემდეგ რამადანის ანუ ფითირ ბაირამის დღესასწაული აღნიშნეს. რამადანი მუსლიმთა კალენდრის მეცხრე თვეა. გადმოცემის თანახმად, ალაჰმა სწორედ ამ თვეში შთააგონა შუამავალ მუჰამედს შუამავლისა და მოციქულის მისია და ყურანის პირველი გამოცხადებაც მიმადლა.

დილის 7 საათისათვის მორწმუნეებმა გურიის რეგიონში მოქმედ ჯამეებს მიაშურეს საბაირამო ნამაზის შესასრულებლად.

გაზეთი „ალიონი" დაბა ნასაკირალს სტუმრობდა, სადაც ადგილობრივ ჯამეში 1000-ზე მეტი მლოცველი იყო მისული. ისინი გარდა ნასაკირალისა ჩამოსულები იყვნენ ჩოხატაურის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სოფლებიდან, სხვა დასახლებებიდან.

ვინაიდან არსებული ჯამე მხოლოდ 300-მდე მლოცველს იტევს, მლოცველთა უმეტესობა ჯამეს მიმდებარედ, ეზოში ლოცულობდა.

ნასაკირალის ჯამეს იმამმა შაქრო (მუხამედ) მეკეიძემ ლოცვებისა და ყურანიდან სათანადო სურების წაკითხის შემდეგ მიმართა ჯუმაღეთს (მლოცველებს): –ღმერთმა გამთლიანებული საქართველო გვანახოს!

–ამინ!-ერთხმად უპასუხა მრევლმა.

სადღესასწაულო ნამაზის შემდეგ მუსლიმები ერთმანეთს ულოცავდნენ ბაირამობას. ოჯახებში გაიწყო სადღესასწაულო სუფრები. ბაირამი სამ დღეს გაგრძელდა და მორწმუნეებმა წინაპართა საფლავები მოინახულეს.

სადღესასწაულო ნამაზის შესრულების შემდეგ ჯამეში იმამს შაქრო მეკეიძეს და ნასაკირალის ჯამეს მეჯლისის თავმჯდომარე ვახტანგ გორგაძეს ვესაუბრეთ.

– ეს ჯამე 35 წლის წინ აიგო და მლოცველებს ვეღარ იტევს, ამიტომ ვფიქრობთ მის გაფართოებას –გვითხრეს მათ. მათ მლოცველთა თანადგომა ეიმედებათ.

– ნასაკირალში ზოტიდან და ზემო აჭარის სოფლებიდან ჩვენი ჩამოსახლება ოზურგეთის რაიკომის ყოფილი მდივნის შოთა ჭანუყვაძის დამსახურებაა. როცა ჯამეს ვაგებდით, ქრისტიანი ქართველებიც გვეხმარებოდნენ, მაგალითად ზემოსურებელი აკაკი კიკვაძე. ჩვენ სულ ვლოცულობთ ჩვენი მთავრობისა და ჩვენი ხალხისთვის, ქვეყნად მშვიდობისთვის – გვითხრა შაქრო მეკეიძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ დაბა ნასაკირალის თემს, კურორტ ბახმაროს მიმდებარედ, ფაფარას მთის ფერდობზე არსებულ საზაფხულო დასახლებაშიც აქვთ ჯამე, რომელსაც ასევე ნასაკირალის ჯამეს იმამი შაქრო მეკეიძე ემსახურება.

134 367 ათასი ლარი ქალაქში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობას მოხმარდება

ალიონი. 2015 წლის 10 ივლისის საქართველოს მთავრობის №1504 განკარგულების თანახმად, საქართველოს რეგიონების ფონდიდან ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 134 367 ლარი მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობას მოხმარდება. შესაბამისი ცვლილება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 26 დეკემბრის №45 დადგენილებით მიღებულ ბიუჯეტში, საკრებულომ 2015 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომაზე შეიტანა.

„ხსენებული განკარგულებით გამოყოფილი თანხები მიმართული იქნება ჭავჭავაძის ქუჩის №4-ში, №8-სა და №10-ში, ასევე რუსთაველის ქუჩის №4-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის ეზოების კეთილმოსაწყობად", – თქვა სხდომაზე ქალაქის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა მარიკა ნაცვალაძემ.

ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში

ალიონი. საკრებულოს 14 ივლისის რიგგარეშე სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ნაწილში, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული საკონცერტო სცენის (10მX10 მ) შეკეთებისთვის შეტანილ იქნა ცვლილება და გეგმას დაემატა 1 160 ლარი.

ამორტიზებული სცენის შეკეთების საჭიროება გამოწვეულია 2015 წლის აგვისტოში დაგეგმილი ღონისძიების „ოზურგეთული ზაფხლის საღამოების" ორგანიზებისათვის, ასევე შემდგომი სხვადასხვა ღონისძიებისათვის, რომელთა ჩატარება გათვალისწინებულია ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2015 წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი და სასიხარულო ცვლილება

ქალაქ ოზურგეთის მუნიცილიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმას დაემატა 1 272 140 ლარი

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიცილიტეტის საკრებულოს 16 ივლისის რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ 2014 წლის 14 ნოემბრის №97 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2015 წლის 13 ივლისის №04-02/72860 წერილის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის №1381 განკარგულებით გამოყოფილ თანხებს, ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბაზრისწყლის ნაპირდამცავი ჯებირის, ასევე დიმიტრი ბაქრაძისა და მალაზონიას ქუჩების მიმდებარედ ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად სახელმწიფო შესყიდვების გეგმას დაემატა 1 272 140 ლარი, შესაბამისად 893 940 ლარი და 379 200 ლარი.

როგორც სხდომაზე ითქვა, აღნიშნული შესყიდვა უნდა განხორციელდეს მრავალწლიანი შესყიდვის სამუალებით, კერძოდ: ქალაქ ოზურგეთში მდინარე ბაზრისწყლის ნაპირდამცავი ჯებირის მოწყობისთვის 700 000 ლარი 2015 წლის პერიოდში, 893 940 ლარი 2016 წელს, ხოლო დიმიტრი ბაქრაძისა და მალაზონიას ქუჩების მიმდებარედ ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად – 414 950 ლარი 2015 წლის პერიოდში, 397 200 ლარი 2016 წელს.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის წინ

ალიონი. გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით საინფორმაციო სახის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილმა გახსნა, რომელმაც რეგიონის მუნიციპალიტეტების სოფლის რწმუნებულებს მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისკენ მოუწოდა.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ისაუბრეს და დარბაზში მყოფთა კითხვებს უპასუხეს: ნატია ყურაშვილმა (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია), ეთერ მონასერიძემ (სსიპ „საქართველოს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო), ნატა ძველიშვილმა (ინფორმაციის განვითარების თავისუფლებისინსტიტუტი) და ირმა ჯალაღონიამ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

როგორ შეხვედრაზე ითქვა, ციფრული მაუწყებლობის მისაღებად მოსახლეობას **DVB-T2** სტანდარტის მხარდაჭერის მქონე სეთ-თოფ ბოქსი ან ტელევიზორი დასჭირდება. ასევე, სიგნალის გარანტირებულად მისაღებად შენობის სახურავზე დამონტაჟებული მეტრულ-დეციმეტრული ანტენა არის საჭირო. მოსახლეობის მხარდასაჭერად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საბანკო სექტორთან მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებას მიაღწია, რის შედეგადაც უკვე სეთ-თოფ ბოქსების განვადებით შესყიდვის შეღავათიანი პირობები შემუშავდა და ამოქმედდა. მთავრობამ, ასევე, შეიმუშავა სუბსიდირება, რომლის ფარგლებშიც სოციალურად დაუცველ ოჯახებს (70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით) ციფრული სიგნალის მიმღები აპარატურა უფასოდ გადაეცათ.

ანალოგური მიწისზედა საეთერო სიგნალის ეტაპობრივი გათიშვა საქართველოს მასშტაბით 2015 წლის პირველ ივლისს დაიწყო და 25 აგვისტოს დასრულდება.

შეხვედრას ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის საზოგადოება და მასმედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

დროებით სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უფლებამოსილების ვადა ერთი თვით (14 აგვისტომდე) გაუგრძელა ქალაქ ოზურგეთის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს.

აქვე საკრებულომ ცვლილებები შეიტანა „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების – გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით. კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო წესის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 20 თებერვლის №26 განკარგულებაში. საკონკურსო პროექტების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2015 წლის 10 აგვისტო, შედეგები კი 2015 წლის 20 აგვისტოს გამოცხადდება.

გაზეთი „ალიონი" სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში"
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ბეგლარ სიორიძის თქმით, აქედან სამ-ოთხ თვეში ახალ ოზურგეთში ვიცხოვრებთ

ბაზრის წინ მცხოვრები მოსახლეობა თავიანთი სახლის ფანჯრებიდან ყოველდღიურად უყურებდნენ გოჭებითა და ქათმებით ბაზრობას. აქ საუბარში ჩაერია ბაზრის დირექტორი, ბატონი რეზო შალამბერიძე. შელაპარაკდნენ ეს ქალბატონები და ბაზრის ადმინისტრაცია, სხვა არაფერი მომხდარა. ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც მართავდა ისტერიკებს და ბოლო ხმაზე გაჰკიოდა, გული წაუვიდა. გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, საავადმყოფოში გაუსინჯეს წნევა და გაუშვეს სახლში. ამ ქალბატონს არც ხელით შეხებია არავინ და არც „ფეხებზე მკიდიას“ მსგავსი უთქვამს მისთვის ან სხვისთვის ვინმეს. არსებობს ამის დამადასტურებელი შესაბამისი ჩანაწერებიც.

ამ ქალბატონების მოთხოვნის დაკმაყოფილების – ჭიშკრის გახსნის შემთხვევაში სოფლიდან ჩამოსული ადამიანი თავისი გაზრდილი გოჭით, ქათმითა თუ თიკნით ვერ შეაღწევს ბაზარში, მისი სარეალიზაციო საქონელი გადამყიდველების ხელში აღმოჩნდება, რითაც ფინანსურად დაზარალდება არა მხოლოდ გლეხი, არამედ ადგილობრივი მყიდველი მოსახლეობაც.

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ბაზარში რამდენი ვინმე იკივლებს და იწივლებს, იმათ ჭკუაზე ნამდვილად ვერ ვივლი. მე, როგორც ქალაქის მერს, ჩვენს ქალაქზე პასუხისმგებელს, აღებული მაქვს გეზი იქეთკენ, რომ ოზურგეთელებს ბაზარიც ნორმალური ჰქონდეთ, ქუჩებიც, მოედანიც, სკვერებიც, ტროტუარებიც... და ამ გეზს არანაირად არ შევცვლი.

– რამდენადაც გვახსოვს, წინა ინტერვიუში თქვენ შეგვპირდით, რომ გაგვაცნობდით ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

– რაც ახლა ქალაქში ხდება, ყველა კარგად ხედავს, ვისაც მხედველობა არ ღალატობს. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში განხორციელდება 46 ახალი პროექტი. თანაქალაქელებს ვპირდები, რომ აქედან სამ-ოთხ თვეში ვიცხოვრებთ სავსებით ახალ ოზურგეთში. ვიცი, არ არის ადვილი ჩემი არჩეული გზა, მაგრამ, რადაც არ უნდა დამოჯდეს, ეს გზა აუცილებლად ბოლომდე, შედეგიანად უნდა განვვლო. ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ ხომ უნდა შეძლოს, რომ ქალაქი ნამდვილ ქალაქს დაემსგავსოს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე, 14 ივლისის სხდომაზე პირველ საკითხად განიხილეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები, კერძოდ, მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცა თანხმობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული 5 ნაგავმზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან და 500 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს მუდმივ სარგებლობაში გადასცეს 2 ნაგავმზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალება და 150 ცალი კონტეინერი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს დროებით სარგებლობაში (ბახმაროს საკურორტო სეზონის განმავლობაში) – 1 ნაგავმზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალება და 20 კონტეინერი; ხოლო ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრს“ – 2 ნაგავმზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალება და 330 ერთეული კონტეინერი უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ასევე მიეცა თანხმობა ა(ა)იპ „ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადასცეს 8 თექსმეტლიტრიანი მექანიკური ზურგსაკიდი შემასხურებელი აპარატი.

იმის გამო, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №29 განკარგულებაში შეიტანეს ცვლილებები და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად, დამატებით გამოეყო 1 049592 ლარი, საკრებულომ მიიღო დადგენილება შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში.

ცვლილებებია აგრეთვე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის შესყიდვების გეგმასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხაში.

უკიდურესი სიდუხჭირე და თხილი – შემოსავლის ერთადერთი წყარო

რეპორტაჟი ბაილეთიდან

ამ ეტაპზე ორი ოთახის კედელი ამოყვანილია. გვითხრეს, რომ გადახურვისთვის საჭირო მასალაც თხოვეს შესაბამის სამსახურს და მოლოდინის რეჟიმში არიან.

ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობს.

ჯამბულ ფუტკარაძე: – შრომა არ გვეზარება მაგრამ სამუშაო სად არის?! რაც ჩემი ხელებით შემიძლია გავაკეთო თავს არ ვზოგავ. აქვე ახლოს 2500 მეტრი მიწა მაქვს. მინდოდა შემომეღობა და სათხილე გამეშენებინა. აგროსესხისთვის „ლიბერთი" ბანკს მივმართე. 1000 ლარი ვითხოვე. მაგრამ არ მომცეს. ჩვენთვის ყველაფერი პრობლემა დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში გამრიცხველიანება მოხდა ჩვენს სახლთან მოსასვლელი ელექტრო სადენები დაზიანებულია უმნიშვნელო ქარზე და წვიმაზე გვეთიშება შუქი. სულ 100 მეტრის მანძილზეა მოსაწესრიგებელი გაყვანილობა მაგრამ, „ენერგო პრო ჯორჯიამ“ ბევრი თხოვნის მიუხედავად პრობლემა მაინც არ მოაგვარა. – ძვირი ჯდება, ბოძებია გამოსაცვლელიო– მეუბნებიან. ახლა ვფიქრობ ალბად ბუნებრივ აირსაც არ მოიყვანენ აქამდე. არადა ჩემმა შვილებმა აქ უნდა იცხოვრონ არსად წასვლას არ ვაპირებთ."

ყოველივე იმის გათვალისწიებით რაც ზემოთ მოგიყევით, ოჯახს უკვირს რატომ არ ენიშნებათ სოციალური დახმარება. პირველად სააგენტოს განცხადებით 2005 წლის 20 დეკემბერს მიმართეს. მაშინ სარეიტინგო ქულად 65 000 მიენიჭათ. ხელახალი მიმართვების შემდეგ 125 000, 85 000 და ბოლოს, მიმდინარე წელს 63 000. ფუტკარაძეები არ მოხვდნენ სეტ-ტოპ ბოქსების (ციფრული სიგნალის მიმღები აპარატურა) გადასაცემთა სიაშიც. „არ მოვხვდით სიაში, არადა ვიცით 70 000-მდე ვისაც აქვს ქულა ეკუთვნის." (ცნობისთვის პროგრამის ფარგლებში ბაილეთში სეტ-ტოპ ბოქსები სულ 43 ოჯახს გადაეცა).

კიდევ ერთი ისტორია ბაილეთიდან. 1952 წელს დაბადებული ლიანა პატარავა – ურეკიდან ბაილეთში 1970 წელს გამოთხოვდა. 30 წლის წინ მეუღლეს გასცილდა, რომელიც ახლა მარნეულში ცხოვრობს .სახლი და ქონება რომელიც ქონდათ, რამდენიმე ნაწილად გაიყო. წილი ერგოთ ლიანას დედამთილს, ქმარს, შვილებს. საკუთარი და ერთერთი შვილის წილით შეძლო ძველი ხის სახლის ყიდვა, რომელიც ამჟამინდელ ეზოში გადმოიტანა. სახლი, რომელიც 1990 წელს დადგა, დღეს უკვე ავარიულია.

ლიანა პატარავა: – „წვიმაში აქ ვერ გაჩერდები. როგორც გარეთ შიგნითაც ისე წვიმს. კიდევ კარგი მეზობლები მეხმარებიან. მათი დახმარებით ფანჯრებზე ცელოფნები ავაჭედეთ. იატაკი მთლიანად ჩავარდნილი იყო. შიგნით ვერ შემოვდიოდი, მეზობლებს ვაფარებდი თავს. დამეხმარნენ. რაღაც ფიცრები მოიტანეს და თავისი ხელით დამიჭედეს.

ტელევიზორიც მეზობელმა მაჩუქა. ეს რომ არ მქონდეს–რა მეშველება. ესაა ჩემი ხმის გამცემი და გულის გადასაყოლებელი. აბა რა უნდა ვქნა, სახლში მარტო ვცხოვრობ. ერთი შვილი მამასთან წავიდა რუსეთში. იქაური ცოლი მოიყვანა და აქეთ არ ჩამოდის. მეორე შვილი მარნეულშია, იქ ჩაესიძა. მარტო აღდგომას ჩამოდის. პატარა გოგო მყავს გარდაცვლილი და დის საფლავს მოინახულებს ხოლმე, სხვა არაფერი. მე ვერ მეხმარება, თავისი პრობლემებიც ბევრი აქვს. ერთადერთი, რაც გამაჩნია პენსია და თხილია, რომელიც სულ წამლებისთვის მეხარჯება. მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ. 4 ოპერაცია მაქვს გაკეთებული. კიდევ მაქვს ოპერაცია გასაკეთებელი. მუცლის წინა კედლის თიაქარი მაქვს. ადრე, სანამ ასაკით პენსიონერი გავხდებოდი, ინვალიდობის პენსია მქონდა. ორჯერ გამგეობაც დამეხმარა 150 ლარით. მაგრამ სოციალური დახმარება არ მაქვს. არადა ეს ჩემთვის არსებობის წყარო იქნებოდა. ადრე მქონდა, მაგრამ შემიწყდა.ბოლოს რომ მოვიდნენ სოციალური სამსახურიდან, მითხრეს რომ დამიბრუნდა დახმარება. მომილოცეს, რაღაცაზე ხელი მომაწერინეს და წავიდნენ. მაისის თვეში დახმარება ისევ შემიჩერდა. იმაზე მაღალი ქულა მაქვს ვიდრე ადრე მქონდა არადა არაფერი შემიძენია"– გვითხრა ლიანა პატარავამ.

ქალბატონი ლიანასგან წამოსულებს მისი მეზობელი **ვალენტინა დარჩია** შეგვხვდა. როცა გაიგო რა საკითხზეც ვიყავით, საკუთარი ამბავიც გვითხრა. „მარტოხელა ვარ. მარჩენალი არავინ მყავს. მე თვითონ პენსიონერი ვარ. სახლი დაშლის პირას მაქვს. მაგრამ მაინც არ ვაპირებ სოციალურ სააგენტოს მივმართო. ან რა აზრი აქვს?! რამდენჯერაც შევავსე დეკლარაცია სულ უფრო და უფრო მაღალი სარეიტინგო ქულები მომენიჭაო."

ნიკო მამულაიშვილი, სოფ. *ბაილეთის რწმუნებული:* – ეს ის ოჯახებია რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ სოციალურ დახმარებას. ფუტკარაძეების ოჯახის დიასახლისი ონკოლოგიური ავადმყოფია. სახლი ავარიული აქვთ. კედელი ჩამოინგრა. ლამის ბავშვები მოიყოლა. ერთჯერადი დახმარება მიიღეს, ახლა გადახურვისთვის საჭირო მასალას ველოდებით. რაც შეეხება ლიანა პატარავას, მარტოხელა ქალია. ავადაა, შრომა არ შეუძლია. ბევრი ვეცადეთ გაგვერკვია, რატომ აქვს ასე მაღალი სარეიტინგო ქულა, მაგრამ ვერ დავადგინეთ.

ჩვენ ვესაუბრეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოზურგეთის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ, **ვანო გოგოლაშვილს.**

–„სოციალური აგენტი ოჯახის განაცხადის საფუძველზე მიდის ოჯახში ივსება დეკლარაცია. დეკლარაცია ივსება იმ კონკრეტული მოცემულობებით, რომელიც იმ კონკრეტულ სიტუაციაში იყო. ახლა შეიცვალა დეკლარირების სისტემა და გარკვეული მოცემულობები ამოვიდა დეკლარაციიდან, თუმცა იმის სანაცვლოდ სხვა მოცემულობები ჩაემატა პირველი მაისიდან. დღეს არსებული დეკლარირების სისტემით მივიდოდა ჩვენი აგენტი, შეუვსებდა დეკლარაციას. ოჯახის წევრის თანამონაწილეობით ხდება დეკლარაციის შევსება იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელ ინფორმაციასაც ოჯახის უფლებამისილი პირი აგენტს აძლევს. ივსება დეკლარაცია, შემდეგ თავსდება კომპიუტერულ ბაზაში და კომპიუტერული პროგრამა ანიჭებს მას სარეიტინგო ქულას. სარეიტინგო ქულა არის საბოლოო ჯამში გადამწყვეტი იმისა მოქალაქეს და ოჯახს მიეცემა სოციალური დახმარება თუ არ მიეცემა. ახალი სისტემით სოციალური დახმარება არის დიფერენცირებული. სხვადასხვა სარეიტინგო ქულაზე სხვადასხვა სოციალური დახმარეაა გათვალისწინებული. ასე რომ უკვე მნიშვნელოვანი გახდა რამდენად დაბალი ექნება ოჯახს ქულა და თუ საერთოდ სოციალური დახმარების მიმღები არ არის მას სავარაუდოდ ექნება 100 000 ქულაზე მეტი. ამის თქმა შემიძლია მეტის არაფრის. კონკრეტულ ოჯახებთან დაკავშირებით ინფორმაცია რომ გავცეთ, აუცილებლად უნდა მობრძანდეს ჩვენთან ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი ან სხვა სრულწლოვანი წევრი და მას დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას მივცემთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ დეკლარაციაში არც ზედმეტი ეწერება არც ნაკლები, არაფერი გარდა იმ რეალობისა, რაც არის. ის სარეიტინგო ქულა რომელიც ოჯახს მიენიჭა, იქნება არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე იმ სოციალური მდგომარეობის ამსახველი, რომელიც ამ კონკრეტულ ოჯახში არის. მე შეიძლება მეგონოს და ვფიქრობდე რომ კონკრეტული ოჯახი არის გაჭირვებული, მაგრამ ჩემს მოსაზრებას ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა. ჩემი შეხედულება შეიძლება არ იყოს შესაბამისობაში არსებულ რეალობასთან"– გვითხრა გოგოლაშვილმა.

რეალობა კი სხვაა. რატომღაც ამ კონკრეტულ შემთხვაში სარეიტინგო ქულები ვერ ასახავენ პატარავას, ფუტკარაძის და დარჩიას ოჯახებში რეალურად არსებულ სოციალურ მდგომარეობას.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს საჯარო აუქციონს

დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	მინ. შენობის ფართი კვმ	„ბე" (ლარი) 50 %	„ბიჯი" (ლარი) 10 %	მონაწილის ბილეთი (ლარი)	აუდიტის თანხის დანამატი	საწყისი საპრივატიზებო საფასური(ლარი)
არასასოფლო-სამეურნეო დაწიმწულების მიწის წაკვეთი	ქალაქი ოზურგეთი ანასეული	26.26.50.048	601.00 კვ.მ		950	190	50	100	1900
არასასოფლო-სამეურნეო დაწიმწულების მიწის წაკვეთი	ქალაქი ოზურგეთი ექადია	26.26.52.046	1035.00 კვ.მ	№1 (დანგრეული) ბანაშენიანების ფართი 91,17 კვ.მ	3150	630	50	100	6300
არასასოფლო-სამეურნეო დაწიმწულების მიწის წაკვეთი	ქალაქი ოზურგეთი დ. აღმაშენებლის ქ.	26.26.58.044	642.00 კვ.მ		2650	530	50	100	5300
არასასოფლო-სამეურნეო დაწიმწულების მიწის წაკვეთი	ქალაქი ოზურგეთი დ. აღმაშენებლის ქ.	26.26.58.074	388.00 კვ.მ		1400	280	50	100	2800
არასასოფლო-სამეურნეო დაწიმწულების მიწის წაკვეთი	ქალაქი ოზურგეთი დ. აღმაშენებლის ქ.	26.26.58.043	395.00 კვ.მ		1435	287	50	100	2870
არასასოფლო-სამეურნეო დაწიმწულების მიწის წაკვეთი	ქალაქი ოზურგეთი ვ. დოლიძის ქ.	26.26.46.090	196.00 კვ.მ		1700	340	50	100	3400
არასასოფლო-სამეურნეო დაწიმწულების მიწის წაკვეთი	ქალაქი ოზურგეთი დ. აღმაშენებლის ქ.	26.26.57.136	481.00 კვ.მ		3600	720	50	100	7200

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2. „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. "სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში):"

* აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

* საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში

* აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია

* „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, ხაზინის ერთიანი ანგარიში სახაზინო კოდი: 300898800

* დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია"-ში მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 21 ივლისიდან 2015 წლის 19 აგვისტოს 12 საათამდე"

* **აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 19 აგვისტოს 14.00 სთ-ზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.**

* "ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სხდომის "
ტელ: **595 22-08-26, 599 009329, 574 77- 74- 77"**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს პირობებიან საჯარო აუქციონს

№	დასახელება	მდებარეობა	90	მიწის ფართი კვმ	„ბე" (ლარი) 50 %	„ბიჯი" (ლარი) 10 %	მონაწილის ბილეთი (ლარი)	აუდიტის თანხის დანამატი	საწყისი საპრივატიზებო საფასური(ლარი)
1	არასაცხოვრებელი ფართი	ი. პეტრიწის ქუჩა N7/ გ.ეპისკოპოსის ქუჩა N1	26.26.47.062.01/501.	3887.00 კვ.მ.	50556	10111.2	50	50	101112

2 აუქციონის პირობები

ა ქონების შემძენმა (აუქციონში გამარჯვებულმა), საპრივატიზებო საფასური სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმზე ხელმოწერის დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

ბ ქონების შემძენმა (აუქციონში გამარჯვებულმა), აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმზე ხელმოწერის დღიდან 12 თვის ვადაში, უზრუნველყოს შენობის ექსტერიერის (გარე ფასადის) მოწესრიგებისათვის საჭირო სამუშაოების დასრულება.

გ ქონების შემძენმა (აუქციონში გამარჯვებულმა) უნდა უზრუნველყოს, შენობის ექსტერიერის მოწესრიგების სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მუშახელის არანაკლებ 70 % ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება.

დ "საპრივატიზებო ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 12 თვის ვადაში განახორციელოს ინვესტიცია არანაკლებ 800 000 (რვაასიათასი) ლარის ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2. „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. "სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში):"

* აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

* საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში

* აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია

* „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, ხაზინის ერთიანი ანგარიში სახაზინო კოდი: 300898800

* დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია"-ში მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 21 ივლისიდან 2015 წლის 19 აგვისტოს 12.00 საათამდე"

* **აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 19 აგვისტოს 14.00 სთ-ზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.**

* "ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სხდომის "
ტელ: **595 22-08-26, 599 009329, 574 77- 74- 77"**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურის კომისიების ერთობლივი გასვლითი სხდომა სოფელ ცხემლისხიდში

დროს გათვალისწინებულ იქნას სოფელ ბაღდადის მცხოვრებთა ზემოაღნიშნული მოთხოვნები, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ტარიელ არაშიძისადმი სოფელ ბაღდადის (ცხემლისხიდის თემი) მოსახლეობის 10 ივლისით დათარიღებულ ამ წერილობით მიმართვას მოჰყვა გასული კვირის სამშაბათს, 14 ივლისს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურის კომისიების ერთობლივი გასვლითი სხდომა სოფელ ცხემლისხიდის ადმინისტრაციულ ცენტრში.

„ჩვენი მთავარი პოზიცია და მიზანი ისაა, რომ ხელისუფლება გავუზიაროთ ხალხს. ეს ფორმატიც ამის დასტური გახლავთ. ერთად მოვისმინოთ, რა გავაკეთეთ და ერთობლივად დავსახოთ მიზნები, უპირველესად, რა უნდა გაკეთდეს უახლოეს მომავალში. გაკეთებული საქმის მთავარი შემფასებელი ხალხია. ასეთი უშუალო შეხვედრები აახლოებს ხელისუფლებას ხალხთან“, – თქვა შეხვედრაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დიმიტრი კვერღელიძემ.

ხსენებული წერილობითი მიმართვის განხილვისას ცხემლისხიდელმა და ბაღდადელმა მოსახლეობამ დასვა სხვა პრობლემური საკითხებიც - სოფლის მთლიანი გაზიფიცირება, „თავკობულას“ ხიდის რეაბილიტაცია, რასაც თურმე წინა ხელისუფლებაც პირდებოდა და არ დააყენეს საშველი.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბადრი გობრონიძემ წარმოადგინა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სოფელ ცხემლისხიდის თემში უკვე განხორციელებული და განსახორციელებელი სამუშაოების ნუსხა:

„მდინარე ნატანების კალაპოტის გასწორხაზოვნება, გაბიონების მოწყობა, მდინარე ნაბჟუჟარას სათავის რეაბილიტაცია –718 327 ლარი, დღეისათვის შესრულებულია სამუშაოების 80 პროცენტი (დასრულებულია გასწორხაზოვნება, ხუთი გაბიონიდან დასრულებულია ოთხი); ზემო ბაღდადში 120 გრძივი მეტრი ბეტონის გზის მოწყობა – 19 918 ლარი; ზეგანში 120 გრძივი მეტრი ბეტონის გზის მოწყობა – 20 542 ლარი; ცხემლისხიდის ხიდის რეაბილიტაცია – 19 644 ლარი; თავკობულის ხიდის მოწყობა – 51 000 ლარი; ცხემლისხიდის ცენტრის კეთილმოწყობა –16 483 ლარი, დღეისათვის შესრულებულია სამუშაოთა 100%; უჩხუბის გარე განათების მოწყობა – 8 968 ლარი;, დღეისათვის შესრულებულია სამუშაოთა 100%; ბაღდადის გარე განათების მოწყობა – 1192 ლარი, შესრულებულია 100 %; საბავშვო ბაღისათვის ატრაქციონის შეძენა – 612 ლარი, დღეისათვის შესრულებულია შეძენების 80%; ელსადენების შეძენა – 407 ლარი; შეძენილია 100%-ით; წყალსადენის მოსაწყობად მასალების შეძენა – 17 420 ლარი, დღეისათვის შესრულებულია შეძენების 50%; ევროსტანდარტების შესატყვისი ახალი ბაღის მშენებლობა ბაღდადში – 468 390 ლარი; მიმდინარე წლის სოციალური დახმარება – 13 000 ლარი“.

ბადრი გობრონიძის განმარტებით, ცხემლისხიდში ერთ სულ მოსახლეზე 648 ლარი მოდის, რაც სარეკორდო მაჩვენებელია.

ამ სტატისტიკის შემდეგ რამდენადმე პარადოქსულად ჩანს ამ სოფლების გასაჭირი, მაგრამ რეალობა სახეზეა, ცხემლისხიდი საყოფაცხოვრებო პირობებით არაფრით აღემატება მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებს, პირიქით, ზოფიერთ საკითხში აქ უარესი მდგომარეობაც კი არის. მთავარი გასაჭირი მაინც უწყლობაა. ახალი ცენტრალიზებული წყალსადენის მოწყობას 3 მილიონი ლარი არ ეყოფა, თუმცა, როგორც მოსახლეობამ თქვა და წერილობით მიმართვაში იყო აღნიშნული არის ალტერნატიული ვარიანტიც.

მოსახლეობა, ხელისუფლებასთან ერთად, შეთანხმდა იმ პრიორიტეტებზე, რომელიც სოფლისთვის უპირველესად მოსაგვარებელია. ადგილობრივი ხელისუფლება დააფინანსებს წყალსადენის პროექტირებას. თუმცა, უშუალოდ წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად დაფინანსება მოსაძიებელი იქნება დონორი ორგანიზაციებიდან.

საინტერესო, შესაძლებელია გადამეტებული დებატებიც კი მოჰყვა მუნიციპალიტეტის მომავალი ბიუჯეტის დაგემვის საკითხს:

„კარგია, რომ ამ საკითხში მოსახლეობისა და ხელისუფლების შეხედულებები მთლად არ დაემთხვა ერთმანეთს. ეს უკვე ამ პროცესში მოსახლეობის მეტ ჩართულობაზე მეტყველებს, რასაც მივესალმებით“, – თქვა შეხვედრის დასასრულს დიმიტრი კვერღელიძემ.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელმა ნანა თავდუმაძემ გვითხრა. კომისიების გასვლითი სხდომების ჩატარებით ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ანალოგირი გასვლითი სხდომები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ჩატარდება.

საქართველოში B და C ჰეპატიტების ციფრებისა და გენოტიპის დასაზუსტებლად დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი „კარდაკარის“ პრინციპით კვლევებს აწარმოებს

„**C** ჰეპატიტის“ პროგრამის მიმდინარეობის ფარგლებში დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა „კარდაკარის“ პრინციპით კვლევები დაიწყო.„კარდაკარის“ პრინციპი **C** და **B** ჰეპატიტების საქართველოში გავრცელების შესწავლასთან დაკავშირებით ეგრეთ წოდებული პოპულაციური კვლევაა.

აუცილებელია და ჩ ჰეპატიტების გავრცელების ზუსტი ციფრები ვიცოდეთ. კვლევა 7 000 შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული ადამიანის გამოკვლევას გულისხმობს.„ სპეციალურად დამუშავებული კითხვარით ინტერვიუერები ფლობოტომისტთან ერთად (ვინც ვენიდან იღებს სისხლს) მიდიან ამ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეულ ოჯახებში, უხსნიან მათ კვლევის შესახებ, უსვამენ კითხვებს კითხვარიდან, უზომავენ წნევას, სიმაღლეს, წონას, უღებენ ვენიდან 10 მლ სისხლს, რომელიც **B** და **C** ჰეპატიტის მარკერებზე იქნება გამოკვლეული. თუ დადებითი შედეგი აჩვენა, შემდეგ სისხლის გაღრმავებული კვლევა ხდება. ეს კვლევა 11 აპრილს დაიწყო და სამ თვეს გაგრძელდება. გურიის რეგიონში კვლევა ჩატარდება ივლისის თვეში. აგვისტოს ბოლოსთვის ცნობილი იქნება **B** და **C** ჰეპატიტის საქართველოში გავრცელების მაჩვენებელი და მათი გენოტიპები

C ჰეპატიტს იწვევს რნმ ვირუსი, რომელიც უპირატესად ღვიძლს აზიანებს. ბუნებრივი მიმდინარეობის დროს დაავადება (20-30%) 6 თვის შემდეგ თვითგამოჯანმრთელებით მთავრდება, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ქრონიკულ ხასიათს იძენს. ვირუსს ახასიათებს ცვალებადობა, მიეკუთვნება ნელა პროგრესირებად ვირუსთა რიცხვს. გამოვლენილია მისი ექვსი გენეტიკური ვარიანტი. ინფექციის წყაროს წარმოადგენს მწვავე და ქრონიკული **C** ჰეპატიტით დაავადებული ადიამიანი. ვირუსი გადაეცემა პარენტარული გზით, ანუ სისხლითა და სისხლის პროდუქტებით, ზოგჯერ სქესობრივი გზითაც.

ადამიანი ინფიცირდება:

* ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტისას;
* საერთო სამართებლის, სისხლით დაბინძურებული ბამბის გამოყენებისას;
* სხეულის სხვადასხვა ნაწილში სამკაულის ჩამაგრების, ე.წ.. პირსინგის, დროს;
* სისხლმდენი ღრძლიბეს მქონე ადამიანის კბილის ჯაგრისის ხმარებისას;
* სხვა ადიამიანის მიერ კბენის დროს;
* დაბინძრებული სააბაზანო აქსესუარების ხმარებისას;
* სქესობრივი კონტაქტისას, რომელსაც თან სდევს სისხლდენა.

ვირუსის სქესობრივი გზით გადაცემა ძალიან იშვიათია (1-3%), ძირითადათ, ჰომოსექსუალისტებში (სწორი ნაწლავის ტრავმირების გამო). შედარებით მაღალია **C** ვირუსით ინფიცირების სიხშირე მრავალ პარტნიორთან ურთიერთობის შემთხვევაში.

C ჰეპატიტის გადაცემის გზებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშრად ავადდებიან:

* ინტრავენური ნარკომანები და მათი სქესობრივი პარტნიორები;
* შეუმოწმებელი სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმის შემთხვევაში;
* ცუდად გასტერილებული სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტებით მანიპულაციების დროს;
* გაუსტერილებელი ინსტრუმენტებით კოსმეტოლოგიური მანიპულაციების შემთხვევაში (პედიკიური, მანიკური, ტატუირება და სხვ.);
* სამედიცინო პერსონალი – ანუ იგულისხმება ყველა ის შემთხვევა, როდესაც ვირუსით დაბინძურებული სისხლი ერევა მეორე ადამიანის სისხლს.

C ჰეპატიტით დაავადების რისკი მაღალია არ ამარტო ინტრავენური ნარკომანიის დროს არამედ კოკაინის შესუნთქვისას. ვინაიდან კოკაინი ძლიერ აღიზიანებს ცხვირის ლორწოვან გარსს და ხშირად იწვევს სისხლდენას. ასეთი პირის მიერ ნახმარ შესასუნთქ ტუბიდან კი ვირუსი მეორე ადამიანს ცხვირის ლორწოვანშიხვდება და იწვევს ინფიცირებას.

კლინიკური სიმპტომები იშვიათად (10-20%) ვლინდება. ამ დროს აღინიშნება საერთო სისუსტე, დისკომფორტი მარჯვენა დერდქვეშა მიდამოში. ღვიძლის ფუნქციათა მრავალფეროვნების გამო მისი ქსოვილის ანთება, ანუ ჰეპატიტი, შეიძლება გამოვლინდეს სიმპტომთა ფართო სპექტრით; ესენია:

* კანისა და ლორწოვანი გარსის გაყვითლება;
* დაღლილობის შეგრძნება;
* ცხელება და ოფლიანობა;
* გულისრევა, ზოგჯერ ღებინება;
* ტკივილი მუცლის არეში;
* უმადობა, ცხიმიანი საკვების შეძულება;
* ქავილი;
* წონაში დაკლება;
* სისხლჩაქცევები;
* გონების დაბინდვა, კონცენტრაციის უნარის დაქვეითება;
* ართრიტები (სახსრების ანთება);
* არასრულფასოვანი ძილი.

აღნიშნული ჩივილები ზოგადად ღვიძლის დაავადებებს ახასიათებს.

C ჰეპატიტის დაიგნოსტიკა და დადასტურება კი მხოლოდ ლაბორატორიული მონაცემებით ხდება.

სახელმწიფოს პროექტი **C** ჰეპატიტის ელიმინაციის შესახებ დაავადების გამოვლენას და მათ მკურნალობას გულისხმობს. შექმნილია ახალი გენერაციის ანტივირუსული პრეპარატი, რომლის მკურნალობის შედეგადაც განკურნების ეფექტი 90%-ს სცილდება. დაიწყო პროგრამის პირველი ფაზა და საქართველოს 5 000 ადამიანის სამკურნალო პრეპარატების „სოვალდის“ დოზა უფასოდ გადმოეცა. „ საქართველო სხვადასხვა კრიტერიუმით შეირჩა. საქართველო სადემონსტრაციოდ კარგი, მაღალი გავრცელების ქვეყანაა. ქვეყანაში ამასთან დაკავშირებით ძლიერი პოლიტიკური ნებაა, არსებობს ჰეპატიტის მკურნალობის კარგად გამართული სისტემა, კარგად მომზადებული ადამიანური რესურსები და ექიმები არიან. ასევე დადებითად შეფასდა ჩვენთან ლაბორატორიული ბაზა. აქედან გამომდინარე, გადაწყდა, რომ საქართველო ამ მიმართულებით სხვა ქვეყნებისთვის სამოდელო ქვეყანა გახდეს.

ელიმინაციის პროგრამას 2 ფაზა აქვს, პირველი 2015 წლის სახელმწიფო პროგრამაა, მეორე ფაზა კი 5-წლიანი იქნება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მომავალი 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად დაახლოებით 20 000 ადამიანი იქნება, რომელსაც მკურნალობა დასჭირდება.

ვთხოვთ მოსახლეობას ხელი შეუწყონ სამედიცინო პერსონალს ზემოთ არნიშნულ კვლევების ჩატარებაში, რადგან ამ კვლევებით უნდა დადგინდეს ამ დაავადებებით ინფიცირებულთა რეალური რიცხვი , რაზეც იქნება დამოკიდებული ელიმინაციის პროგრამის წარმატებული მიმდინარეობა და რაც მთავარია გამოვლენილ ინფიცირებულ პირებს მიეცემათ უფასოდ დასკვნა სახელმწიფო პროგრამაში მოსახვედრად.

არჩილ მჭავია

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზჯანდაცვის დეპარტამენტის გურიის განყოფილების უფროსი

ოზურგეთში სუიციდის ფაქტი დაფიქსირდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წ-ში მცხოვრები გ.ვ საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალი ოჯახის წევრებმა იპოვეს. თვითმკვლელობის სავარაუდო მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება სახელდება.

ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ოზურგეთში პირუტყვის აცრის ახალი ეტაპი დაიწყო. სოფელ ბაილეთში ყოფნისას შევხვდით ბრიგადას, რომელიც კარდაკარ დადიოდა და ძაღლებს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით ცრიდა. ვეტერინარ ლერი ჩხარტიშვილის თქმით, ოზურგეთში სულ სამი ბრიგადა მუშაობს, თითოეულს 10 სოფელი აქვს მიბარებული.

ეკლესიაში მესვლა მრევლს ყოველგვარ ამინდში უნდა შეეძლოს

როგორც ბოხვაურიდან შეგვატყობინეს, გასული კვირის კოკისპირული წვიმების შედეგად, სოფლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია ისე დაიტბორა,რომ ადგილობრივ მრევლს ღვთის სახლში სალოცავად შესვლა პრაქტიკულად არ შეეძლო. ბოხვაურელთა თქმით, ანალოგური მდგომარეობა იქმნება ყოველი გაწვიმების დროს.

იმედს გამოვთქვამთ, თემთა მუნიციპალიტეტისა და სოფლის ხელმძღვანელობა იზრუნებენ ამ პრობლემის გადასაწყვეტად,ეკლესიაში მრევლს შესვლა ყოველგვარ ამინდში უნდა შეეძლოს.- გვითხრეს ბოხვაურლებმა

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

სერ ჯონ ჯოზეფ ტომსონი (1856-1940). მე-19 საუკუნის მიწურული იყო დრო, როდესაც ბევრი ფიზიკოსი მიიჩნევდა, რომ ძირითად, მნიშვნელოვანი აღმოჩენები უკვე გაკეთებულია, მაგრამ გამოჩნდა ინგლისელი ჯოზეფ ტომსონი, რომელმაც გააქარწყლა ეს მოსაზრებები.

ბევრ მეცნიერულ საკითხებთან ერთად, XIX საუკუნემ ნათელი მოჰფინა ატომური თეორიის წინააღმდეგობრივ საკითხებსაც. მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ უკვე ყველაფერი იცოდნენ ელემენტების შემადგენელი ატომების ზომებსა და თვისებებზე. მათი აზრით, წყალბადი ყველაზე მცირე იყო მათ შორის. ტომსონმა შეარყია მსოფლიო მეცნიერებაში გაბატონებული აზრი, როდესაც გამოაცხადა წყალბადის ატომის ერთი მეათასედი მასის ნაწილაკის აღმოჩენის შესახებ.

„ნაწილაკების მსგავსად, უარყოფითად დამუხტულ უწვრილეს სხეულებს, „ელექტრონები“ დაარქვეს“.

ტომსონმა 1906 წელს მიიღო ნობელის პრემია ფიზიკაში, ხოლო 1908 წელს – რაინდის წოდება.

თავიდან მას სურდა ინჟინერი გამოსულიყო. მეცნიერების შესწავლა მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ არ ჰქონდა საკმარისი თანხა გამხდარიყო ინჟინრის შეგირდი. ეს იყო საოცარი იღბალი, რამაც ფიზიკა მისი მადლიერი გახადა.

1897 წელს ტომსონის მიერ ელექტრონის აღმოჩენა იყო გზის გახსნა მსოფლიოსთვის ახალი შეხედულებების შესახებ. სხეული შედგება არამარტო ნაწილაკებისაგან, რომელიც თანამედროვე ელექტრონული მიკროსკოპითაც არ ჩანს, არამედ დამტკიცდა, რომ თვით ისინიც კი უფრო მცირე კომპონენტებისაგან შედგება. ამ მცირე ნაწილაკების აღმოჩენამ გააჩინა ბევრი კითხვა სხეულის სტრუქტურის შესახებ, რაც დღესაც პასუხგაუცემელი რჩება.

ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939). ზიგმუნდ ფროიდის პოპულარობა დღესაც შთამბეჭდავია.

ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის დარგში ბევრი მისი დასკვნის დისკრედიტაცია მოახდინეს, მაგრამ ფროიდის გავლენა მაინც დიდი იყო. მიუხედავად იმისა, მართებულია თუ არა მისი მიდგომები და მეცნიერული მოსაზრებები, ზიგმუნდ ფროიდი მაინც რჩება იმ ორიენტირად, რომელსაც ამ სფეროში მომუშავე ადამიანები იყენებენ, თავს ადარებენ და ეჯიბრებიან კიდეც.

ზიგმუნდ ფროიდის მეცნიერულმა კვლევებმა კულმინაციას მიაღწია 1895 წელს ნაშრომით „ისტერიის კვლევა“. დაწერა სხვა მრავალი ნაშრომიც, როგორიცაა „ეგო და I (1923 წ). ასევე მის რევოლუციურ მიდგომას წარმოადგენდა ნაშრომი „სიზმრების ახსნა“ (1899 წ). ფროიდის მემკვიდრეობას წარმოადგენს ის განსაზღვრები და ტერმინები, რომლებიც მან შემოიღო და ფართოდ გამოიყენა თანამედროვე მსოფლიოში. დღეს საყოველთაოდ ცნობილია სიტყვები ფსიქოანალიზი, თავისყფალი ასოციაცია, I , ეგო, ნევროზი, დათრგუნვა, ოიდიპოსის კომპლექსი და სხვა. სტრუქტურიზებული, სისტემატიზებული მიდგომა, რომელიც მან შემოიღო ძნელად გასაგები საგნის ანალიზში, ფართოდ გავრცელდა მის მიმდევრებში. მასვე ეკუთვნის ფრაზა „სიზმრების ახსნა ტვინის უნებური მოქმედების ამოხსნის ძირითად გზას წარმოადგენს“.

ჰაინრიხ რუდოლფ ჰერცი (1857-1894). რადიოტალღები მან აღმოაჩინა დიდი ხნის დაკვირვებისა და შრომის შედეგად.

აღმოჩენილ რადიოტალღებს მან „ჰერცის ტალღები“ უწოდა. რაც საყოველთაოდ გახდა ცნობილი. მან დამტკიცა, რომ რადიოტალღებს აქვს ის თვისებები, რასაც მაქსველი ვარაუდობდა.

პირველი და უმთავრესი იყო ის, რომ ელექტრომაგნიტური რადიაციის სხვა ფორმების მსგავსად, ის სინათლის სიჩქარით მოძრაობდა. მას, სხვა ტალღების მსგავსად, ჰქონდა გარდატეხისა და არეკვლის, ასევე ვიბრაციის თვისება.

დღეს ჰერცის სახელი ცნობილია ყველასათვის, ვისაც ოდესმე ჩაურთავს რადიო. მისი გვარი ერთ-ერთია, რომელსაც მსოფლიო დღესაც იცნობს. სიხშირის ერთეულს მისი სახელი დაარქვეს. ხალხი ხშირად ხვდება მის სახელს, როდესაც რადიოს ჩართავს, რაც თავისთავად მანიშნებელია ამ დიდი აღმოჩენისა. ნაკლებად არის ცნობილი, რომ გერმანელმა ფიზიკოსმა ეს გარღვევა მოახდინა ახალგაზრდა ასაკში. 36 წლის კი გარდაიცვალა.

მოამზადა
გურამ ცერცვაძემ

სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – სოფიკო ჭიაურელი; ციტრუსი – პომპელმუსი; პოეტური განმეორება – ალიტერაცია; კავშირგაბმულობის საშუალება – რაცია; ჯუჯა ადამიანი – ლილიპუტი; ძვირფასი თვალი – ლალი; კლიმატი – ჰავა; შეძახილი ცეკვაში – ასა; ელემენტთა ურთიერთქმედება – რეაქცია; ზედმეტად პრინციპული – ჯიუტი; ახალგაზრდა იურისტები – საია; კანონიკური ტექსტების განმარტება – ეგზეგეზა; ბელორუსი მწერალი XX ს – ჩორნი; გარეული ცხოველი – ტურა; ფრინველი – გვრიტი; ფულისა და ფასიანი ქაღალდის გამოშვება – ემისია; ალანი -ოსი; ქალაქი ესტონეთში – ტარტუ; თვე – მაისი; წყალმანკი – ცოფი; სავარცხელიანი ფრინველი – ოფოფი; ბოსტნეული მცენარე – ნიორი; ფუტკრის ოჯახი – სკა; მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში – ტალი; ცეცხლის ენა – ალი; უბრად მყოფი – უბირი; კვერცხის რუსული კერძი – დრაჩენა; სიმებიანი საკრავი – ფანდური; სწორი ხაზი – წრფე; ტაძარი-პირამიდა მექსიკაში – კასტილიო; ზეთოვანი მცენარე – ალისარჩული; ესპანელი ფეხბურთელი – ალფონსო.

ეპოქა ფირალთა ზეობისა

მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

ენვერ გოგუაძე

უხვი, მდიდარი, ბარაქიანი ქვეყანა იყო საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, ,,ძველი მესხეთის ნატეხი"- დაუმცხრალთა ტომის საბუდარი გურია.

ოდითგანვე მკვირცხლი, უავაზაკო, უქურდალი, კეთილმგალობელ-მწიგნობარი, ბრძოლასა შინა შემმართებელი, ,,მყის გულ მწყრალი" მოდგმით დასახლებული, ისტორიული წარსულით ფრიად საინტერესო, არც თუ შორეულ წარსულში გულ—უშიშარ ფირალთა და მეამბოხეთა, მაუხერ შემართული ტერორისტთა და მარქსიზმის ბანგით დაღდასმულთა სამკვიდრო.

გურული გლეხის სოციალ-ეკონომიკური ყოფა და მისი კულტურული საგანმანათლებლო განვითარების დონე , ნამდვილად შეუსაბამი იყო მის

,,განვითარებასა და ტყეში გავარდნის " პირობებთან შედარებით.

თამამად შეიძლება ითქვას რომ მარქსიზმის მიმდევრობის მოთაყვანე გურიაში, საცა ,,ყამითი ყამად ,,ხალხოსანი ნაროდნიკებიც სცოდავდნენ თავიანთი აგიტაციით, არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ხალხის ასაბუნტებლად ყოფიერება ნამდვილად არ განსაზღვრავდა ცნობიერებას.

გურიელის ეკონომიკური მაჯისცემას ,,დედა ძარღვი" მუდამ ფეთქავი და განუყრელი იყო. დიმიტრი ყიფიანის განსაზღვრებით" მოუსავლიანობისა და შიმშილობისა. ამ ხალხს არასოდეს არაფერი უნდოდა".

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: ,,გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა." ,,და ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ."

სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდამ ზღვამდე და განი ჭოროხიდამ რიონამდე. ჰავით არს კეთილი და მშვენი, ზაფხულის ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო.ზამთარი თბილი, დიდ— თოვლიანი... ვითარცა იმერეთი და უყინვო;

მთაგორიანი; აგარაკიანი , ტყიანი და მცირე ველოვანი.

ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი , კვალად აბრეშუმი, ბანბა არა ეგდენ,ცხოვარნი მცირე და სხვა პირუტყვნი, ოვინიერ აქლემისა ,ჯოგად, მრიწლედ. მრავალნი და მმოვარნი ზამთარ-ზაფხულ უმწყემსოთ.

ფრინველნი მრავალნი , ხილნი მრავალნი, და ბათომს ,ბონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი ,ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა.

ვენახნი მაღლარნი ,ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან— სუნიანი მრავლად.

ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა, სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე შვენიერებითაცა,არამედ უმეტეს კეკელანი და რბილი, ენა ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით(მესხთაებრ),არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხვისა. ბრძოლასა შინა შემართულნი, ... უქურდალნი, უავაზაკონი; სტუმრის მოყვარენი და კეთილად შემწყნარენი , კეთილ მგალობელ—მწიგნობარნი, მშვიდნი, არამედ მყის გულ—მწყნარნი..."

ასეთი იყო გურია ,,ვახუშტის ეპოქაში". ზოგჯერ ქუთათლის სამწყსო, ფაზის—ფოტისა, აჭარა—ჭანეთისა,ზოგჯერ დამცირებული და დაცოტავებული ,ვენახ ხიდ-მოსავლიანი, ნადირფრინველიანი. კეთილჰაოვანი, მშვენიერი ბუნებით უხვი მდინარეებით. შემრგო გემოიან-სუნიანი ღვინით ქებული და კეთილ—მგალობელ მწიგნობარი ხალხით დასახლებული ქვეყანა ვიდრე მარქსიზმის მიმდევრების შემოსევამდე.

გასული საუკუნის 70—იან წლებში, გურიაში დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძის მოგზაურობის ჟამს გურიის ფართობი, რომელიც ამჟამად ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა ეწოდებოდა შეადგენდა:

1940 კვ. ვერსს, ხოლო სოფლების რიცხვი შეადგენდა 594 ერთეულს. 24, 2 კვადრატულ ვერსზე ერთი სოფელი მოდიოდა

მოსახლეობის რიცხვი განისაზღვრებოდა მდედრობითი სქესისა—49 142. მამრობითი სქესისა —54 334 .

აღნიშნული დროისათვის გურიაში დამტკიცებული იყო: 229 აზნაურისა და 40 თავადის ოჯახი .

უცხოელთაგან ოზურგეთის მაზრაში იმჟამად ცხოვრობდა ორთავე სქესისა სომეხი—7; კათოლიკე სომეხი—14; და მაზრაში მაჰმადიანისა და —81; გურიის, ანუ ოზურგეთის მაზრის მაშინდელ სახელმწიფო საზღვრებს წარმოადგენდა:

სამხრეთით აჭარა-ახალციხის, ანუ იგივე აჭარა—გურიის ქედი მისი უმაღლესი მწვერვალებია :

თაგინური—8755 ფუტი სიმაღლისა.

სომლია—9306 ფუტი.

ზოტიმერია-8769 ფუტი.

აღმოსავლეთით ამავე ქედის გაგრძელებაზე :

მეფის წყარო—9343 ფუტი;

დასავლეთით შავი ზღვა.

ჩრდილოეთით წინად გურიის საზღვარი იყო მდინარე რიონის მარცხენა ნაპირი და ქალაქი ფოთი პალიასტომის ტბასან ერთად მის შემადგენლობაში შედიოდა: ახლა

საზღვარი მიჰყვებოდა მდინარე ფიჩორს, რომელიც სამხრეთიდან მიერთვის პალიასტომს

როგორც ცნობილია,- მუთითებს დიმიტრი ბაქრაძე აჭარა გურიის ქედზე გადის სასაზღვრო ხაზი რუსეთსა და თურქეთს შორის ,რომელიც იმავე ქედის გაყოლებით ჯაახათის მწვერვალიდან ჩრდილო —დასავლეთით უხვევს და ვაკეზე გადის, . მიჰყვება უმნიშვნელო ჩოლოქის დინებას , რომლის ნამდვილი სახელწოდება წინათ არ იყო ცნობილი . გურია ძალზე მდიდარია მდინარეებით. მათგან ყველაზე დიდია სუფსა და ნატანები ,მათი უხვი შენაკადებით, რომლებიც აჭარის მწვერვალთა ღრმა ხეობეებით ჩამოდინებიან. მეორე მხრივ ჩოსატაურის ქედი, რომელიც გურიას მის დასავლეთ ნაწილში კვეთს, იმ მდინარეთა წყაალგამყოფია, რომელთაგან ზოგი სუფსას მიერთვის ზოგი კიდევ რიონს. სუფსისა და ნატანების შენაკადების ხეობებში გადის მთის ბილიკები აღმოსავლეთ—ჩურუქ-სუსა და ზემო აჭარის სოფლებისაკენ, სახელდობრ: აჭარისწყლის ხეობით ზემო ხინოსაკენ, ბზუჯის ხეობით თაგინურზე გავლით ფერსათის უღელტეხილზე, ხოლო ბახვისწყლის და გუბაზეულის ხეობებით, სომლიასა და ზოტიმერიაზე, სადაც განშტოდებიან და მიდიან აჭარის ყველაზე ზემო სოფლებსა და ახალციხის მაზრაში ქვაბლიანის ხეობით".

გარდა ამ მთათა ხეობებში მიმავალი უდაბური გზებისა. სადაც მშვიდობიანი მგზავრისთვისაც კი მეტად საძნელო, სახიფათო და საშიში სავალია, გურია დაფარული და დაბურული იყო უსიერი ტყეებით. ამ ტყეთა უღრანების ზოგიერთ მონაკვეთში. საცა პაპანაქება ზაფხულშიც კი იშვიათად აღწევდა მზის ცხოველმწოფილი სხივი, საერთოდ არ იყო ,,ჭაჭანება ადამიანისა". გარეული მხეცებით სავსე პირქუშ სამეფოში, ძნელად თუ შეეხედავდა ვინმე ჭკვათა მყოფელი.

,,გურიის ჰავის ძლიერი ტენიანობა, - გვაუწყებს დიმიტრი ბაქრაძე, - ხელს უწყობს მდიდარი მცენარეულობის განვითარებას. გურიის ტყეები იმავე ჯიშებისაგან შედგება,რითაც კიტრიშის ხეობისა გამოირჩევა, ოღონდ ეს უკანასკნელნი აღემატებიან პირველთ."

მთელი ზღვისპირეთი,რიონის შესართავიდან კინტრიშის შესართავამდე, ზღვისპირა დიუნების აღმოსავლეთით ბზანარევი წიფლნარით იყო დაფარული, ტყის უკან ჭაობების ფართო ზოლი მდებარეობდა, განსაკუთრებით ფართო იყო ეს ზოლი რიონისა და ჩოლოქის შესართავთან. ნოტიო სუბტროპიკული ჰავის წყალობით ტერიტორიის მეტი ნაწილი ხშირი დაბური ტყით - ,,ურეკით" იყო დაფარული. რომელშიაც თითქმის გაუვალი ქვეტყე, ბუჩქნარი, ლიანები, და გვიმრა იყო მოდებული. თუ ამას დავუმატებთ მეტწილად თიხნარ ნიადაგებს, და გზების სიმცირეს. ცხადი გახდება თუ რამდენად უწყობდა ხელს ბუნებრივი პირობები ამ მხარის გარეშე მტრისაგან დაცვას.

ცხადია ისიც თუ როგორი ,,სამთხე" უნდა ყოფილიყო იგი ფირალად გავარდნილი და თავზე ხელაღებული კაცის თავშესაფრად. უსიერი ტყე, როგორც ნადირი ფირალს გაურბოდა - ფირალი სტრაჟნიკს. თუმცა სტრაჟნიკი - იგივე საერბო დარაჯი. ტყეში ,,შემბედავი" და იქ ფირალის მდევნელი ვერ იყო. იგი ღალატის ხერხიანი გზით მოქმედებდა, ,,გათიშე და იბატონე", აქაც ძალაში იყო. ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, გურიის თავადაზნაურთა წინამძღოლის,,,თამარიანის" ავტორის-სიმონ დათას ძე გუგუნავას აღიარებისა არ იყოს, ,,გურიაში არასოდეს ღალატის გარეშე არცერთი ფირალი არ მოუკლავთ". გურიის ტყეებში ფირალის დევნა ტრიალ მინდორში ქარის დევნაზე უარესი იყო. ღალატის გარეშე ,,სტრაჟნიკი" - ფირალის მუდმივი მადევარი - ,,გავარდნილს" ვერ მოიხელთებდა.

თუმცა აქვე საკითხავია: ჰქონდა თუ არა ფირალად გავარდნის აუცილებლობა ბუნებით მშრომელს, გამრჯესა და მუყაით გურულს. უფრო დიდი გასაჭირისა და ძნელბედობის პირობებში არ ,,გადმოულია მას ყფაღლა თოფი" და სასიკვდილოდ არ გამოსდგომია თავის ,,სულწაწყმენდილ" ბატონს და ,,ი დალოცვილი ჩუქუროსანი" რაღა მაინც და მაინც 70-80-იანი წლებიდან ,,გადაირია"

,,შეიშალა" და ,,გადაფიჩნდა" გინდა თუ არა გურიელთა, ნაკაშიძეთა, მაჭუტაძეთა, თავდგირიძეთა, ერისთავთა, გუგუნავათა სახელ-სახსენებელი ამოვადო და აზნაურობაც ზედ მივაყოლო უნდაო?

ისედაც ამოგდებულნი არ იყვნენ? დიმიტრი ბაქრაძის გურიაში მოგზაურობის ჟამს გურულ თავადთა ოჯახების რიცხვი 40 ერთეულით განისაზღვრებოდა, აზნაურებისა - 229 ერთეულით, რომლებიც თავიანთი ,,ავან - ჩავანით" გურიის გლეხობისაგან დიდად არც კი განსხვავდებოდნენ, ხოლო გურულ გლეხთა ოჯახები კომლობრივი თვალსაზრისით 9 ათას ერთეულამდე აღწევდა.

აგიტაცია ,,იხმარეს" პროპაგანდა ,,ვამართეს" მერე თოფიანი აგიტატორიც გამოიყვანეს სარბიელზე,,,აბუნტეს",,აამბოხეს, კაცისმკვლელად გახადეს.

ფირალად და ტერორისტად აქციეს, ისარგებლეს მისი სიფიცხითა და ,,მყის გულმწყრალობით", რის საფუძველზედაც მანქურთის საშინელი ჰიბრიდი წარმოშვეს მისგან. გურული გაამანქურთეს. რუსის იმპერიას შეაჯახეს. თავიანთი ,,კლასობრივი პრინციპების" შესაბამისად ,,დედა ბუდიანად ამოსგდებად" გაიმეტეს. მრავალი მათგანი ციმბირის ყინულეთში ,,გაიხმეს ქედზე ბორკილდადებულნი". მრავალს სახრჩობელაზე დაასრულებინეს სიცოცხლე. გურული ,,ვანტევების კაცი", და ,,ზვარაკი" გახდა რევოლუციისა. ვაჟკაცობას უქებდნენ, გაზეთებში სწერდნენ და ასურათხატებდნენ, რის საფუზველზედაც სასიცოცხლეს უსპობდნენ. თუმც ყოველივე ზემოხსენებული არასოდეს შეესატყვისებოდა დიად პრინციპს: ,,სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა". იგი საძრას გზაზე ხელოვნურად დააყენეს და ხვედრიც საძრახისი არგუნეს.

გახსენება

სოსო დარჩია

ზაფხული ისევ მოვიდა უშენოდ ჩემო საამაყო მამა! ო, რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ, როგორ გვტკივა უშენობა შენს შვილებს. დრო ვერ გამოდგა მკურნალი მამა, პირიქით უფრო გვიმძაფრებს ტკივილს და მონატრებას. მენატრები მამა, შენს თავს ვფიცავ უშენოდ ეს თორმეტი წელი უდიდეს სევდასთან ასოცირდება ჩემში. მენატრება შენი ჭკვიანური რჩევები, შენს თვალებში მოკიაფე სიხარულის თუ ტკივილის ცრემლებიც კი. შენ შენს შვილებს ერთმანეთის დიდი სიყვარული გვასწავლე ... ასე მოვდივართ დღემდე მამა, ჩვენ უერთმანეთოდ არაფრად გვიღირს ცხოვრება, ალბად იმიტომ რომ შენ არ გყოლია დედმამიშვილი. შენი დანატოვარი ფუძე და მონაგარი ისევ აგრძელებს შენს გაკვალულ გზას. კაცურად განვლილი გზა იყო შენთვის მთავარი- ჩვენთვიაც მამა! და ასე გააგრძელებს მჯერა ამ გზას შენი სოსო დარჩიაც რომელიც დღეს ერთ-ერთი სამაგალითო სტუდენტია. იამაყე მამა! შენს შვილებს შენთვის სირცხვილი არ უჭმევია, შენი არჩეული გზიდან არ გადაუხვევია და სანამ ცოცხლები ვიქნებით და სანამ ერთმანეთს კვლავ შევხვდებით ვიამაყოთ ერთმანეთით ... ჩვენ შენით ... შენ ჩვენით ...

გვიყვარხარ გვეყვარები

შენი შვილები - **მაყვალა, დათო, ნონა.**

სპეციალისტის რეპლიკა

გაზეთ ,,ალიონის" 2015 წ. 13 ივლისის ნომერში, მე-4 გვერდზე გამოქვეყნებული საპარო ფოტოს ქვეშ მოთავსებულია ტექსტი თავისი გაუგებარი,არასპეციფიკური გამოთქმებით: ...დაბა ურეკსა და შეკვეთილში, დაავადების გადამტანებთან მასშტაბურ ღონისძიებას ატარებს".

საინტერესოა, რომელი მცენარის ,,დაავადებაზეა" ყურადღება გამახვილებული, ფოტოზე მგონი ოლეანდრეა აღბეჭდილი... მაშინ, როდესაც ურეკისა და შეკვეთილის მიმდებარე ბზის ნარგავები სრულიად განადგურებულია ახალი საკარანტინო მავნებლით — ბზის ალურათი. რაც შეეხება მავნებელს, ის ცოცხალი ორგანიზმია და აზიანებს ბზას. (ტერმინ დაავადებაში იგულისხმება მცენარეთა ავადმყოფობები, რომელსაც სწავლობს მეცნიერება ფიტოპათოლოგია, ხოლო მავნებლის დაზიანებაში იგულისხმება საგანი ენტომოლოგია). ტერმინი ,,დაავადებათა გადამტანები" უადგილოთ არის გამოყენებული, რადგან დაავადებათა გადამტანები უმეტესად არიან მწერები, რომლებიც იწვევენ ვირუსულ დაავადებებს.

ჩვენი თხოვნაა, როდესაც სპეციფიკური სპეციალობის ტექსტებს ვაქვეყნებთ გაზეთში, ამისათვის ტერმინის განმარტება მხოლოდ სპეციალისტებთან შეთანხმებით უნდა მოხდეს.

რაც შეეხება ფოტოს: მართალია, პიარისათვის კარგია, რომ ასეთი ფიზიკურად ძლიერი ქალბატონები გვყავს, რომელსაც 12 კგ-იანი სასხურებელი აპარატით ,,მუშაობა" შეუძლიათ, მაგრამ რას ვერჩით ჩვენს ძლიერ, კუნთმაგარ მამაკაცებს, რომელთა უმეტესობა სამსახურის გარეშეა, რომ ეს მამაკაცური საქმე სურათზე მაინც აღბეჭდონ.

ანგელინა ნიკოლაიშვილი,
აგრარული უნივერსიტეტის, ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

რედაქციისაგან:

ყოველგვარი ჩასწორებისა და შემოკლების გარეშე ვაქვეყნებთ ქალბატონი ანგელინა ნიკოლაიშვილის რეპლიკას წერილზე ,,შავიზღვისპირეთში დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები მიმდინარეობს." აღნიშნული ინფორმაცია ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურს ეკუთვნის და იგი გადმობეჭდილია გამგეობის ვებგვერდიდან. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თხოვნასა და შენიშვნებს, მით უფრო, საყვედურის მსგავსს, მხოლოდ ავტორს გადავულოცავთ და ამით პასუხისმგებლობას თავიდან ავიცილებთ. ანალოგიურ წერილებზე მუშაობისას აუცილებლად გავითვალისწინებთ სპეციალისტის თხოვნასა და რჩევას, რადგან წერის დროს მსგავსი შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, ზოგჯერ სპეციალისტიც კი, მაგრამ, ამ რეპლიკის შინაარსიდან გამომდინარე, ბოლომდე ვერ დავეთანხმებით ქალბატონ ანგელინას.

თუ აკადემიური დოქტორი არ გვიწყენს, მხლად გამართულად არც მისი ტექსტი გამოიყურება. მაგალითად, ,,არასპეციფიკური გამოთქმა", ,,სპეციფიკური სპეციალობის ტექსტი", ასევე ცოტა უხერხულად იკითხება ,,მამაკაცური საქმის სურათზე აღბეჭდვა".

ფრაქცია „ეროვნული ფორუმი" გაუქმდა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავის რიგგარეშე სხდომაზე ცნობად მიიღო ,,ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმის" გაუქმება.

,,საკრებულოს წევრმა ტიტე მგელაძემ, რომელიც აღნიშნული ფრაქციის წევრი გახლდათ, საკუთარი განცხადების საფუძველზე, დატოვა ფრაქცია, რის შედეგადაც ფრაქციაში დარჩა ორი წევრი. კანონმდებლობის შესაბამისად, ფრაქცია უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი წევრისაგან, ამიტომაც ფრაქცია ,,ეროვნული ფორუმი" გაუქმებულად გამოცხადდა, — განმარტა სხდომაზე სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ეროდი გორდელაძემ

„ცოცხალი წიგნები“ ოზურგეთში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უპრეცედენტო პროექტს ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა უმასპინძლა.

„ცოცხალი წიგნები“ სხვადასხვა სტილისა და მიმართულების მწერლებს და პოეტებს აერთიანებს. პროექტის ფარგლებში 75 თანამედროვე ქართველი მწერლისგან შემდგარი მობილური ჯგუფები მთელს ქვეყანაში მოგზაურობენ.

ოზურგეთის დრამატულ თეატრში დამსწრე საზოგადოებამ ბესო ხვედელიძის, ეკა ქევანიშვილის, რეზო გეთიაშვილის, ირმა შიოლაშვილის, გივი ალხაზიშვილის, ანდრო ბუაჩიძის, ახალბედა მწერლის - იუნონა გურულის, მარიამ წიკლაურის, გიორგი კეკელიძის და გიორგი არაბულის პროზაული და პოეტური ნაწარმოებები მოისმინა. თანამედროვე ქართველ ავტორებთან ერთად ოზურგეთელ მაყურებელს ცნობილი ქართველი მომღერლისა და მხატვრის, დებ იშხნელების შთამომავლის - მანანა მენაბდის მოსმენის საშუალებაც მიეცა.

პროექტის იდეა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველს ლიტერატურის დარგში, ქეთევან დუმბაძეს ეკუთვნის. როგორც იდეის ავტორები ამბობენ, ამ გზით ისინი თბილისში მოქცეული კულტურული ჩაკეტილი წრის გარღვევას და რეგიონებისთვის ხმის მიწვდენას აპირებენ.

თანამედროვე ავტორები ოქტომბრამდე საქართველოს ყველა რეგიონს მოივლიან და მათი შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველებს გაეცნობიან. შეხვედრები საბიბლიოთეკო და სამუზეუმო სექტორთანაც გაიმართება.

„ნოდარ დუმბაძე დიდი ადამიანი იყო“



ზაურ დუმბაძე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვაბლიდანაა. მას დღეს შევხდით.

როგორც გვითხრა, უმუშევრობამ გამოაკეტვინა სახლის კარები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში ერთ-ერთ ბიზნესმენთან იპოვა დროებითი თავშესაფარი. მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს და ოჯახს არჩენს.

—დღეს ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეა —შევახსენეთ..

— ნოდარ დუმბაძეს ვიცნობდი და მქონდა შეხვედრები ხიდისთავში (ზენობანი) და თბილისშიც. მე აჭარელი დუმბაძე ვარ. სოფ. ნაბელლავის კოლმეურნეობაში ვმუშაობდი ავტობუსის მძღოლად. კოლმეურნეობის თავმჯდომარეები შოთა კალანდაძეს და ალიოშა დოლიძეს ძალიან უყვარდა სახელოვანი მწერალი. მათი დავალებით არც თუ იშვიათად მიწევდა ნოდართან მისვლა. იქაური „ადესა“, და პურმარილი მიმქონდა მწერალთან —გუბაზეულის ხეობის ტყეში წაბლითა და წიწიბოთ გაზრდილი შემწვარი გოჭი აუცილებლად.

კარგი მძღოლი ვიყავი, მაგრამ თბილისში მოძრაობა მიჭირდა. როცა თავმჯდომარე თბილისში გამიშვებდა და სხვა დავალებებთან ერთად ნოდარისთან ჩვენებურ პურ-ღვინოს გამატანდა, ავტობუსს თბილისის შესასვლელში გავაჩერებდი და ალიოშა დოლიძის ქალიშვილს, ლალის დავურეკავდი:

—მამათქვენმა ნოდარ დუმბაძესთან ძღვენი გამომატანა, აქამდე კი მოვედი, მაგრამ აწი შენ უნდა მიშველო-მეთქი. მოვიდოდა ქალბატონი ლალი მანქანით და წამიყვანდა.

დიდი კაცი იყო ნოდარ დუმბაძე. როგორც შინაურს, ისე მღებულობდა. დაწვრილებით გამომკითხავდა სოფლის ამბავს. რაიმე დახმარება ხომ არ გჭირდებაო-მკითხავდა.

ჩემთვის ხომ ისიც დიდი პატივი იყო, ამხელა მწერალს რომ ვიცნობდი და ჩემთან ურთიერთობდა -გვითხრა ზაურ დუმბაძემ.

alion.ge

ეკრული მახვილსიცყვაობა

XXX

— იცი, რა გადავწყვიტე, ძამა? ცოლი ოჯახის პრეზიდენტად უნდა ვაღიარო, — უთხრა გურულმა ძმაკაცს.

— რეიზა, ბიჯო! ქალებს ოჯახში ისედაც ხომ დიდი უფლება-მოვალეობები აქვთ?!

— იმიზა, რომე კანონით, ყოველ ოთხ წელიწადში ახალ პრეზიდენტს ირჩევენ.

XXX

ძვირფასო, დღეს ჩვენი ქორწინების წლისთავია, გოჭი ხომ არ დაგვეკლა? — ჰკითხა ცოლმა გურულს.

— გოჭს მეეშვი, აფერი არ დუუშავებია, შენი დაქალია მოსაკლავი, იმან გაგვაცნო ერთმანეთი!.

XXX

გურული ბებო სამი წლის შვილიშვილს ასეირნებს, რომელსაც თბილი და მძიმე ფეხსაცმელები აცვია.

— ქალო, ამ სიცხეში რათ უნდა ამფერი ფეხსაცმელები? — ეკითხება მეზობელი.

— მაგის გარეშე არ შეიძლება, ისე ჩქარა იარება, სხვანაირად ვერ ვეწევი.

XXX

— ინგლისური ენა იცი? — ჰკითხეს გურულს.

— კი მესმის, მარა ვერ ვგებულობ!

XXX

— ხვალ სკოლაში რომ წამოხვალ, აუცილებლად მშობელიც წამოიყვანე! — უთხრა გაბრაზებულმა დამრიგებელმა გურულ მოსწავლეს.

— დედიკოც და მამიკოც ძალიან დაკავებულები არიან და ერთ-ერთი მათგანის სურათს წამოგიღებ, მასწ...

XXX

გურული ექიმი ავადმყოფს სინჯავს.

— აბა, ექიმო, როგორ არის საქმე?

— გირჩევთ დიდი რაოდენობით კრედიტი აიღოთ.

— რას ამბობ, ძამა, მერე რაფერ გადევიხადო?

— აღარ მოგიწევთ გადახდა.

XXX

გურული გახარებული მივიდა სახლში:

— ქსენია, სამსახურიდან გამომაგდეს!

— მერე რა გიხარია, შე სასიკვდილევ?!

— სხვაი ჩემი კოლეგები დეიჭირეს!

XXX

ცოლი ეკითხება გურულს:

— ნახე იი ადამიანი, ვინც სიკვტილს გადამარჩინა?

— კი, მოსული იყო ბოდიშის მოსახდელად!

როლანდ თავაძე

დავით შავაძის მესამე ადგილი ჩემპიონთა სახელობის ტურნირზე

13-15 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა ჩემპიონთა სახელობის საერთაშორისო ტურნირი შავი ზღვის თასზე 2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და თურქეთის ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები.

ტურნირში წარმატებას მიაღწია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა დავით შავაძემ, რომელმაც 38 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა. დავით შავაძის მწვრთნელია დავით მაჭარაშვილი.

მადლობა თანადგომისთვის

წისქვილი არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ სხვა არაფერი დამკლებია. შვილი— თამუნა შავაძე შშმ პირია და წლებია მკურნალობს, თუმცა ჯერ-ჯერობით მისი მდგომარეობა მხოლოდ მცირედით გაუმჯობესდა. ამას მეუღლის —ჯემალ შავაძის ავადმყოფობა დაემატა, რომელსაც ახლახან რთული ოპერაცია გაუკეთეს და ცალი თირკმელი ამოკვეთეს.

ჩვენ სოფ. მთიპირში უკანავას უბანში ვცხოვრობთ და პრობლემები ამმხრივაცაა. ნადირმა ძალიან შეგვავიწროვა. უკანავაში უკვე აღარაა წვრილფეხა პირუტყვი. ამ დღეებში დათვმა მეწველი ფური დაგვიგლიჯა.

იტყვით, თუ ასეთ პირობებში ხართ, მადლობას ვის ეუბნებითო, მაგრამ კეთილი ადამიანები გვიმსუბუქებენ ყოფას. მინდა მადლობა გადავუხადო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეებს მერაბ ჭანუყვაძეს თანადგომისთვის. წელს ზამთარში, სოფელში გვესტუმრა, ჩემი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა და ფინანსური დახმარებაც გავიწია. თან გვითხრა: —თუ კიდევ გაგიჭირდებათ, მოგვმართეთ და დაგეხმარებითო.

მინდა წარმატებები ვუსურვო ამ გულისხმიერ, ახალგაზდა კაცს.

მერი შავაძე,
სოფ. მთიპირი, უკანავა.

განცხადება
ქირავდება სახლი ბახმაროში
ტელ: 595 75 65 00

საკალანდოდ ოზურგეთის ბაზარში შესაძლოა შოკოლადით ნასუქი ღორები გამოჩნდეს

ალიონი. ხუმრობა იქეთ იყოს და ნიჭიერ ბიზნესმენს ღორების კვების ორიგინალური მეთოდისთვის მიუგნია. დედაქალაქში რომელიღაც საკონდიტროს თუ შოკოლადების საწარმოს ვადაგასული შოკოლადის ნაწარმი მიუყიდია. მოკლედ, სოფელ ლიხაურში ყოფილი საყვავილე მეურნეობის ტერიტორიაზე, რომლის მფლობელიც ამჟამად წარმოშობით ოზურგეთელი კობა კვაჭანტირაძეა, ღორების ფერმაში საინტერესო ექსპერიმენტს ატარებენ. აქ, 50-მდე ღორს შოკოლადის ნაწარმით კვებავენ.

როგორც ღორების მომვლელმა გვითხრა, ღორები ტკბილეულს კარგად ეტანებიან და წონაშიც იმატებენ. ამჟამად 3 ტონაზე მეტი საკვების მარაგი აქვთ...

აქ, ღორების გარდა, ჰყავთ ცხვრები, იქვე ტბორში მოჩურჩულე იხვები გაუშვიათ.

როგორც კობა კვაჭანტირაძემ ორიოდე სიტყვით გვითხრა (როგორც ამბობს, ჟურნალისტებთან ვრცელ კომენტარს ერიდება), ამჟამად სასათბურე მეურნეობაში, ვარდების გარდა, მოჰყავთ კიტრი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა, ბადრიჯანის ჩითილებიც აქვთ დარგული.

მისი აზრით, ბოლო ერთი თვის წვიმიანმა ამინდმა ზიანი მიაყენა თხილის მოსავალს. თხილის პლანტაციებში დიდი ოდენობით ტენი დაგროვდა, რაც ზიანს აყენებს ნაყოფს. თუმცა, ბიზნესმენი სამომავლოდ თხილის ახალი ფართობების გაშენებას კვლავ აპირებს.

რაც მთავარია, საკალანდოდ ოზურგეთის ბაზარში გოგიეთის და გომის ტყეებში წაბლითა და წიწიბოთ ნაზარდი ღორების ნაცვლად (მათ მუსრი მგლებმა გაავლეს) შესაძლოა შოკოლადით ნასუქი ღორები გამოჩნდეს.

alion.ge

7 დღის ამინდის პროგნოზი

20 ივლისი	21 ივლისი	22 ივლისი	23 ივლისი	24 ივლისი	25 ივლისი	26 ივლისი
მზე, +15+30	მზე, ღრუბელი +17+26	წვიმა +16+23	მზე +23+29	მზე, ღრუბელი +20+28	მზე, ღრუბელი +16+24	მზე +22+30
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა